გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 64

2023 წლის 18 აპრილი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელენე ბუჯიაშვილს შორის 2021 წლის 08 აპრილს გაფორმებული №6 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №2 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის № 3 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელენე ბუჯიაშვილს შორის 2021 წლის 08 აპრილს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის №6 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის.: ქ. გორი, წმინდაწყლის V მკრ. მიმდებარე; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 31 კვ.მ; ს/კ 66.45.05.767) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 02 თებერვალს №19/2023033102-20 განცხადებით მიმართა ელენე ბუჯიაშვილმა, რომელშიც აღნიშნავს, რომ ცნობილი პანდემიიდან გამომდინარე გაუარესდა მისი ფინანსური მდგომარეობა, რის გამოც ხელი შეეშალა სამუშაოების განხორციელებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ელენე ბუჯიაშვილი ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელენე ბუჯიაშვილს შორის 2021 წლის 08 აპრილს გაფორმებული №6 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე-

პრივატიზებული მიწის ნაკვეთის (მის.: ქ. გორი, წმინდაწყლის V მკრ. მიმდებარე; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 31 კვ.მ; ს/კ 66.45.05.767) განაშენიანების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მულის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელენე ბუჯიაშვილს შორის 2021 წლის 08 აპრილს გაფორმებული №6 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე-პრივატიზებული მიწის ნაკვეთის (მის.: ქ. გორი, წმინდაწყლის V მკრ. მიმდებარე; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 31 კვ.მ; ს/კ 66.45.05.767) განაშენიანების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**